მოთხოვნა სატენდერო წინადადებაზე

დამკვეთი: ვესტ პოინტი
ქვეყანა: საქართველო
პროექტი: ქუთაისი მოლი

პროექტი: ქუთაისის სავაჭრო მოლის პროექტის კომერციული წინადადება
RFP No.: KM/CMC/ 02-2018
გაცემის თარიღი: 3 სექტემბერი, 2018 წელი
მისამართი: 33 ი. ჭავჭავაძის გამზირი
0179, თბილისი

Construction Management Consulting
Request for Proposal
ქუთაისის სავაჭრო მოლის პროექტის კომერციული წინადადება

პუნქტი 1. მოწვევის წერილი

RFP No. KM/CMC/ 02-2018;

ქუთაისი, საქართველო

მიმღები: არჩეული კომპანიები

ძვირფასო მონაწილეებო,

კომპანია სიემსი იწვევს კვალიფიცირებულ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ საპროექტო შემოთავაზების გაფასებას ქუთაისის სავაჭრო მოლისთვის, დამატებითი დეტალური ინფორმაცია სერვისებთან დაკავშირებით არის მესამე პუნქტში, ამავე დოკუმენტში „სამუშაოთა ჩამონათვალი“

ამ მოწვევის გადაცემა სხვა კომპანიებისთვის არ არის დასაშვები.
კომპანია არჩეული იქნება **გამოცდილების და ფასის** მიხედვით და ასევე სრული ტექნიკური შემოთავაზების მიხედვით.

მოცემული შემოთავაზების ძირითადი პუნქტები :

პუნქტი 1 - მოწვევის წერილი (მოცემული დოკუმენტი);

პუნქტი 2 – ინსტრუქცია კონსულტანტებისთვის

პუნქტი 3 – სამუშაოთა ჩამონათვალი

პუნქტი 4 – ფინანსური შემოთავაზების ფორმა

მონაწილეებს გთხოვთ რომ გამოეხმაურონ მოცემულ მოწვევას მიღებიდან 5 დღის ფარგლებში ელ-ფოსტის მეშვეობით.

(ა) რომ მოწვევის წერილი მიღებულია

(ბ) აპირებს თუ არა მონაწილე შემოთავაზების წარმოდგენას.

დეტალები შემოთავაზების წარმოდგენის თარიღზე, დროზე, და მისამართზე მითითებულია ქვევით.

პატივისცემით,

გიორგი იოსელიანი

პუნქტი 2 ინსტრუქცია კონსულტანტებისთვის

ზოგადი განხილვა

დამკვეთი აირჩევს კონსულტანტს ჩამოთვლილი სამუშაოებისთვის. კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონონ პროექტი, ტექნიკური და ფინანსური შემოთავაზებები საკონსულტაციო სერვისებისთვის, რომელიც აღწერილია სამუშაოების ჩამონათვალში ქვევით. ეს შემოთავაზება იქნება საფუძველი მოლაპარაკებისთვის და აქედან გამომდინარე შედგება კონტრაქტი

კონსულტანტთან. (პუნქტი 5- სტანდარტული ფორმა კონტრაქტის).
დამკვეთი დროულად და უსასყიდლოდ მიაწვდის მონაწილეს პროექტისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს რომელიც დაეხმარება კონსულტანტს შემოთავაზების დასამზადებლად.

კონსულტანტი ვალდებულია რომ წარმოადგინოს პროფესიონალურ დონეზე შესრულებული დიზაინი, პირნათლად დაიცვას დამკვეთის ინტერესი, თავი აარიდოს ინტერესების კონფლიქტს და სამუშაო შეასრულოს ყოველგვარი სამომავლო პერსპექტივის ძიების გარეშე.

კონსულტანტი ვალდებულეია რომ გაუზიაროს ნებისმიერი დიზაინისთვის ზიანის მომტანი ინფორმაცია კლიენტს.

მომზადების ღირებულება და შემოთავაზება

კონსულტანტი პასუხისმგებელია ყველა იმ ხარჯზე რომელიც უკავშირდება შემოთავაზების მომზადებას, დამკვეთი პასუხისმგებელი არ არის კონსულტანტის მიერ გაწეულ ხარჯებზე. კლიენტი არ არის ვალდებული რომ მიიღოს შემოთავაზება, აქვს უფლება რომ გააუქმოს შერჩევითი პროცესები და არ დაეკისრება არანაირი იურიდიული პასუხისმგებლობა კონსულტანტთან მიმართებაში

ენა

შემოთავაზება, და ასევე სხვა მნიშვნელოვანი საბუთები დამკვეთსა და კონსულტანტს შორის იწარმოება ინგლისურ ენაზე.

შემოთავაზების მოქმედების ვადა

კონსულტანტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რომ მისი შემოთავაზება ძალაშია 45 (ორმოცდა ხუთი) დღის განმავლობაში შემოთავაზების ჩაბარების შემდეგ.

ამ პერიოდში, კონსულტანტის შემოთავაზება რჩება უცვლელი, იგულისხმება ხელმისაწვდომობა პროექტისთვის მნიშვნელოვან ექსპერტებზე, წარმოდგენილი სამუშაოების ტარიფებზე და ასევე ჯამური ფასი.

დამკვეთი შეეცდება რომ მოლაპარაკება დაასრულოს შემოთავაზების სამოქმედო ვადაში. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში დამკვეთმა შეიძლება მოითხოვოს წერილობით ვადის გახანგრძლივება.

განმარტება და დანართი

კონსულტანტი უფლებამოსილია რომ მოითხოვოს განმარტება შემოთავაზების ნებისმიერ პუნქტზე. ნებისმიერი განმარტების მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი, ან ელექტრონული, დამკვეთის მისამართზე, რომელიც არის ზემოთხსენებული. დამკვეთის პასუხი იქნება წერილობით, ან ელექტრონული და ასევე გაგზავნილი იქნება პასუხები ყველა კონსულტანტთან.

თუ დამკვეთი მიიჩნევს, რომ საჭიროა ცვლილებების შეტანა და თუ შესწორება მნიშვნელოვანია, დამკვეთს შეუძლია გააგრძელოს წინადადების წარდგენის ბოლო ვადა, რათა შერჩეულ კონსულტანტებს გონივრული ვადა მიეცეთ შესწორების შესატანად.

ფინანსური შემოთავაზება

ფინანსური შემოთავაზება მომზადდება სტანდარტული ფორმის მიხედვით. გათვალისწინებული იქნება ყველა ხარჯი რაც პროექტს უკავშირდება, (ა) კონპენსაცია წამყვანი ექსპერტების და არა-წამყვანი ექსპერტების, (ბ) ანაზღაურებადი ხარჯების და ასე შემდეგ. შემდგომში ფასის ცვლილება არ იქნება გათვალისწინებული.

კონსულტანტი და მათი ქვე-კონტრაქტორები და ექსპერტები პასუხისმგებლები არიან კონტრაქტის ყველა საგადასახადო ვალდებულებაზე. კონტრაქტი არის ჯამური/ერთეული ფასის და ცვლილებებს არ ექვემდებარება.

წარდგენა, გახსნა და გარჩევა

კონსულტანტმა უნდა ატვირთოს დასრულებული შემოთავაზება სატენდერო პლატფორმა www.tenderers.net -ზე, ყველა იმ დოკუმენტის გათვალისწინებით, რომელიც ესაჭიროება ხსენებულ შემოთავაზებას. საიტთან დაკავშირებულ კითხვებზე შეგიძლიათ მიმართოთ სალომე ჯიშკარიანს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: s.jishkariani@tenderers.net, ხოლო ტენდერის ტექნიკურ ნაწილთან დაკავშირებით ირაკლი ბერიძეს: i.beridze@cmc.ge

უფლებამოსილი პირი კონსულტანტის მხრიდან ხელს მოაწერეს დედანს.

ნებისმიერი შემოთავაზება ან მოდიფიკაცია რომელიც მიიღება სამოქმედო ვადის დასრულების შემდეგ ჩაითვლება დაგვიანებულად და არ მიიღება დამკვეთის მიერ.

შემოთავაზების გახსნიდან კონტრაქტის დადებამდე კონსულტანტი არ უნდა შევიდეს კონტაქტში დამკვეთთან არცერთ საკითხზე შემოთავაზებასთან მიმართებაში.

ნებისმიერი მცდელობა კონსულტანტისგან დამკვეთის გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის გავლენის მოხდენაზე გამოიწვევს შემოთავაზების გაუქმებას.

განრიგი

1	ტენდერის გამოცხადება:	სექტემბერი 7, 2018.
2	პროექტის განმარტებები:	სექტემბერი 7, 10 2018.
3	შემოთავაზებების მიღების დასრულება:	სექტემბერი, 14, 2018.
3	კონტრაქტორის ნომინირების თარიღი და მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი, 33, თბილისი, 0179, საქართველო;	სექტემბერი, 17, 2018.
4	პროექტირების დაწყების სავარაუდო თარიღი:	სექტემბერი, 27, 2018.

პუნქტი 3. სამუშაოების ჩამონათვალი

ადგილმდებარეობა და პროექტი

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია სავაჭრო ცენტრის მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიის მახლობლად განლაგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები - საქართველოს პარლამენტის შენობა, იუსტიციის სახლი და მთავრობის სახლი. დაგეგმვის მიზანია, მოცემულ ტერიტორიაზე ურბანული მახასიათებელების გაუმჯობესება როგორც ქალაქის, ისე კერძო ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით. დაგეგმილი მშენებლობა დადებით გავლენას მოახდენს ქალაქში საწარმოო პროცესების ფუნქციონირებაზე,

საპროექტო ობიეტი - სავაჭრო ცენტრი მდებარეობს ქ.ქუთაისში, გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეული, შარტავას #2.

ტერიტორიას ესაზღვრება :

ჩრდიოლოეთიდან -ირ. აბაშიძის ქუჩა, ქ.ქუთაისის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ს/კ 03.01.22.182

სამხრეთიდან - ოთარ ჟორჟოლიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი

03.01.24.489 ; შალვა ძებისაშვილისა და შ.პ.ს. „ ოქროს ვარსკვლავი “-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 03.01.24.640 ; შ.პ.ს. „ ტერასა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 03.01.24.181;

დასავლეთიდან - ს.ს. „ ქუთაისის საავიაციო ტექნიკური ქარხანა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 03.01.24.789 .

შენობის პარამეტრები:

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 21 820 მ2.

განაშენიანების ფართი 9 900 მ2

გასაქირავებელი სასარგებლო ფართი 8 460 მ2

ჰიპერმარკეტის საერთო ფართი 5 810 მ2

პარკინგი 375 ერთეული

შენობა უნდა იყოს ერთსართულიანი, მაქსიმალური სიმაღლე - 5 მ,

გარე კედლები: ბლოკი/ბეტონი/ცეცხლგამძლე სენდვიჩ პანელები;

შიგა კედლები - 2 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრები-თაბაშირ მუყაო.

საპროექტო შენობაში განთავსდება ჰიპერმარკეტი კარფური, რომლის პროექტიც შესრულებულია კარფურის დიზაინერების მიერ. გარდა კარფურისა შენობაში უნდა განლაგდეს სავაჭრო და საკვები ობიექტები. შენობის სახურავზე უნდა დაიდგას საინჟინრო დანადგარები.

ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს სამანქანო და საფეხმავლო გზები, ავტოსადგომი და გათვალისწინებული უნდა იყოს გზა სახანძრო-საავარიო მომსახურებისთვის.

ტენდერისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

ამ ეტაპზე ტენდერში მონაწილეებმა უნდა წარმოაადგინონ კომერციული წინადადებები შემდეგი სამუშაოების ჩასატარებლად:

#	დისციპლინის დასახელება	მ2	ერთ.ფასი	ჯამი
1	არქიტექტურული			
2	კონსტრუქციული			
3	წყალმომარაგება - წყალარინება			
4	გათბობა - გაგრილება			
5	ვენტილაცია			
6	ელექტრობა			
7	სუსტი დენები			
8	ხანძარქრობა			

8	41-ე დადგენილების კონსულტანტის მომსახურეობა			

გაფასება მოწოდებული უნდა იქნას თანდართული ფორმის სახით, სადაც ცალ-ცალკე იქნება მოწოდებული თითოეული საპროექტო დისციპლინის ღირებულება.

დამკვეთი იტოვებს უფლებას ცალ-ცალკე შეისყიდოს კონსულტანტისაგან მითითებული პუნქტები. უნდა იყოს გათვალისწინებული ნებისმიერი ცვლილებების შეტანა კონტრაქტის მოქმედების პერიოდში მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

მოთხოვნები კანდიდატებთან:

- პრეტენდენტებმა სასურველია მოინახულონ საიტი, ქუთაისში საკონტაქტო პირი - კლიმენტი ტაბატაძე ტელ: 577 330 503
- წარმოადგინოს პორტფოლიო
- პროექტის გაფასება უნდა მოიცავდეს წინა პუნქტში მითითებულ ყველა სამუშაოს.

დოკუმენტაციას თან ერთვის „გამქირავებელ-დამქირავებლის ვალდებულებების და სპეციფიკაციების“ დანართი, ტოპო გეგმა და ცენტრის ნახაზები.

პუნქტი 4 – ფინანსური შემოთავაზების ფორმა

არქიტექტურული კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარადგინონ საპროექტო გადაწყვეტილება. გამარჯვებული მონაწილის შემოთავაზება იქნება განხილული და ამ მონაწილესთან გაფორმდება კონტრაქტი.

სახელშეკრულებო ვალუტა არის ამერიკული დოლარი (USD$). ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო გადასახადი და სხვა ნებისმიერი ხარჯები.

ამ შეთავაზებაში მითითებული ფასების გარდა კონსულტანტი ვერ წარადგენს დამატებით ხარჯს.
გადახდის მეთოდი ყველა ზემოთ ხსენებულ ფაზაზე არის განმარტებული პუნქტ 2.2 მოცემულ დანართში, გადახდა მოხდება მაშინ როდესაც კონკრეტული სამუშაოები იქნება დროულად დასრულებული.

გადასახდელი თანხა სრულად იქნება დაფარული არა უმეტეს 15 დღეში კონსულტანტის ინვოისის მიღების შემდეგ, რომელიც უნდა გამოიგზავნოს მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა იქნება დასტური იმისა რომ ეს კონკრეტული ფაზა, სტადია ან ნაწილი სამუშაოებისა დასრულებულია დამკვეთისთვის დამაკმაყოფილებელ დონეზე. მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი უნდა იქნას ორივ მხარის მიერ.
დამკვეთი უმიზეზოდ არ დააყოვნებს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას და ხელს

მოაწერს არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა სამუშაოების მიღების შემდეგ.
თუ დამკვეთი ჩათვლის რომ სამუშაოები შესრულებულია მისაღებ დონეზე ის ვალდებულია ხელი მოაწეროს ამ საბუთს პროტესტის გარეშე.
იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი ჩათვლის რომ დასრულებულ სამუშაოებში შეინიშნება გარკვეული დეფექტები, დამკვეთი ჩაწერს შენიშვნას და დაადგენს კორექტირების ვადას.
მიღება-ჩაბარების აქტში გარკვევით იქნება აღწერილი ის სამუშაოები რომელიც წარმატებით ჩაატარა კონსულტანტმა.
ნებისმიერი გადასახდელი თანხა მოიცავს სახელმწიფო გადასახადებს.

მხარეების ხელმოწერა:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა დამკვეთის მხრიდან

ხელმოწერა: _____

სახელი: _____

მისამართი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა კონსულტანტის მხრიდან

ხელმოწერა:

სახელი: _____

მისამართი: _____

_____

ID: _____